

საარჩევნო სიახლენი

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) აგრძელებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობების მონიტორინგს წინასაარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენი“ მესამე გამოშვებაში წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგებს. ორგანიზაცია 2007 წლის 1 დეკემბრიდან ახორციელებს 2008 წლის 5 იანვარის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ფართომასშტაბიან მონიტორინგს, რაც მოიცავს წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომ პროცედურებზე დაკვირვებას. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლები აქტიურად ახორციელებენ წინასაარჩევნო პროცესებზე დაკვირვებას საქართველოს 75 ოლქში. წარმოგიდგენთ წინასაარჩევნო მონიტორინგის 2007 წლის 10 დეკემბრისათვის არსებულ შედეგებს.

2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები

2007 წლის 8 ნოემბერს საქართველოში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური მგომარეობიდან გამოსასვლელად, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თაობაზე და შესაბამისად, 25 ნოემბერს გადადგა დაკავებული თანამდებობიდან. საქართველოს კონსტიტუციის 76-ე და საარჩევნო კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად, 2008 წლის 5 იანვარს დაინიშნა რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) თავმჯდომარემ განაცხადა საარჩევნო ადმინისტრაციის სრული მზადყოფნა 5 იანვრის არჩევნების ჩასატარებლად. ცესკოს მიაჩნია, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია შეძლებს გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დამკვირვებლების მხრიდან მაღალ შეფასებას დაიმსახურებს.

საარჩევნო კანონმდებლობა და პროცედურები

2007 წლის 22 ნოემბერს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 1500 ამომრჩევლით (მუხლი 16). ნიშანდობლივია, რომ ამავე ცვლილებებით 1296 მუხლით, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებისათვის უბნებზე ამომრჩეველთა რაოდენობის შემცირება ცესკომ მხოლოდ ქალაქებში უნდა უზრუნველყოს. ეს ცვლილება არ შეეხო სოფლებს, სადაც ამომრჩეველთა სია არა მისამართების მიხედვით, არამედ ანბანის მიხედვით არის შედგენილი.



ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, ცესკო-მ განახორციელა რიგი საქმიანობები, რომლის მიხედვითაც დადგენილ იქნა საარჩევნო უბნების ახალი საზღვრები. „სამართლიანი არჩევნები“ მიესალმება იმ ფაქტს, რომ საზღვრების შეცვლა გადაწყდა ეტაპობრივად, (ჯერ ქალაქში, შემდეგ - სოფელში) თუმცა, სამწუხაროდ, განსაზღვრული ვადა (28 ნოემბერი) მაინც ვერ უზრუნველყოფს საარჩევნო პროცედურების სრულყოფილად შესრულებას. წარმოგიდგინებთ ზემოაღნიშნულის დამადასტურებელ ფაქტებს:

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების საზღვრების დადგენისას დაფიქსირდა ვადების დაუცველობის პრობლემა. კერძოდ, 28 ნოემბერისათვის საზღვრები არ იყო დადგენილი დუშეთის, არელისა და ქობულეთის ოლქებში.

რიგ უბნებში დაფიქსირდა, რომ ამომრჩეველთა სიები გამოკრული არ იყო კანონით დადგენილ ვადაში (7 დეკემბერს). ასეთებია: დუშეთი, კასპი, ახალციხე, რუსთავი, გარდაბნი, ასპინძა, ახალქალაქი, ადიგენი, მთაწმინდა, ვაკე, საბურთალო, ისანი, ჩულურეთი, ლდანი, ყზბეგი, ხალგორი, ქარელი, სამტრედია და ბათუმი.

საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების ვადები (6 დეკემბერი), დაცული არ იქნა შემდეგ საარჩევნო ოლქებში: დმანისი (№ 24 საარჩევნო უბანი), წალკა (უბნების უმრავლესობა), თეთრიწყარო (№5, №8, №11, №13, №14, №16, №18, №26, №27, №30, №34), დუშეთი (უბნების უმრავლესობა), ყაზბეგი (№1, №10), ახალქალაქი (№5, №7, №39, №40, №55).

საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომები ვადების დარღვევით ჩატარდა: თეთრიწყაროს (№5, №8, №11, №13, №14, №16, №18, №26, №27, №30, №34), დუშეთის (№15, №22, №27, №28, №34, №41, №42, №43, №52), ყაზბეგის (№10), კასპის (№30), შუახევის (№33, №43), ქედისა (№4, №8), ოზურგეთის (№36, №56) საარჩევნო უბნებზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სიები დადგენილ ვადაში არ გამოქვეყნდა შუახევის, ხელვაჩაურის, ქობულეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის საარჩევნო ოლქების ზოგიერთ უბანში.

პროცედურული დარღვევები

გარკვეული ხარვეზები დაფიქსირდა საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომებზე. კერძოდ, იყო შემთხვევები, როდესაც უბნის ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს წინასწარ არ მიეწოდათ ინფორმაცია სხდომის ჩატარების შესახებ (სილნალი, ნამძალადევი). ლაგოდეხში ერთ-ერთი უბნის სხდომას ესწრებოდა კომისიის მხოლოდ 5 წევრი. აღნიშნულ სხდომაზე არჩეულ იქნა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი. ყვარელში ოპოზიციის მიერ დასახელებული კომისიის თავმჯდომარეობის კანდიდატი ოქმში არ დაუფიქსირებიათ. ვაზისუბნის №11 უბანზე სხდომა გაიმართა პოლიციის წარმომადგენლის თანდასწრებით.



„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, ბათუმის საარჩევნო ოლქის ზოგიერთი უბნის პირველი სხდომის ოქმები (8 დეკემბერი) შედგა ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

წინასაარჩევნო პერიოდი

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით, დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები: წალკის, ახალგორის და ჭიათურის საარჩევნო ოლქებში ვაუჩერების დარიგებისას, ადგილი ჰქონდა ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერ აგიტაციას. ქობულეთში პურის ფქვილის დარიგებისას, ამომრჩევლებს ჩამოართვეს პირადობის მოწმობები და შეჰპირდნენ, რომ დაუბრუნებენ არჩევნების დასრულების შემდეგ.

შიდა ქართლის ერთ-ერთ ოლქში გამგებლის მოადგილემ არაოფიციალური შეხვედრა ჩაატარა საჯარო მოხელეებთან, სადაც შეხვედრის მონაწილეები გააფრთხილეს, არ ეთანამშრომლათ ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქუთაისში დადიან ე.წ. „ბინის წარმომადგენლები“, რომლებიც, მათივე თქმით, ასრულებენ მუნიციპალიტეტის მოთხოვნას და ამომრჩევლებს ეკითხებიან, უჭერენ თუ არა მხარს კანდიდატ მიხეილ სააკაშვილს. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ისინი იწერენ პირადობის მოწმობის მონაცემებს, უარის თქმის შემთხვევაში - გვარის გასწვრივ წერენ „არა“-ს. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა თბილისშიც საბურთალოსა და მთაწმინდის ოლქებში, სადაც ამომრჩეველს თავი გააცნეს, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა. თუმცა აღსანიშნავია, რომ კარ-და-კარ ამომრჩეველთა სიების შემოწმება დასრულდა ნოემბრის დასაწყისში და ცესკო-ს თავმჯდომარის ოფიციალური განცხადებით, შეუძლებელი იყო საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს გაეგრძელებინათ კარ-და-კარ ამომრჩეველთა რაიმე მიზეზით შემოწმება.

მხარდამჭერთა სიების შეგროვებისას დაფიქსირდა სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატობის მსურველის წარმომადგენლების მიერ მოტყუებით ამომრჩეველთა ხელმოწერების შეგროვების ფაქტები.

სხვადასხვა რეგიონში ადგილი ჰქონდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების ჩარევას საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაში.

სენაკში თავს დაესხნენ ახალი მემარჯვენეების საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელს, რომელსაც წაართვეს მხარდამჭერთა სიები.



ამბროლაურში დაფიქსირდა ზეწოლის ფაქტი ერთ-ერთი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეზე, რომელიც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელია. კერძოდ, მისგან მოითხოვდნენ ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახს დაემუქრნენ მათთვის კუთვნილი ბიზნესის დახურვით.

ბათუმის გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, შესამჩნევია ბათუმის ნაციონალური მოძრაობის ორგანიზაციის თავმჯდომარის გავლენა ბათუმის საარჩევნო ოლქზე.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, ამბროლაურში ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას დაატოვებინეს ოფისი, რადგან მეპატრონეზე განხორციელდა ზეწოლა და მან უარი განაცხადა აღნიშნული პარტიისთვის ფართის მიქირავებაზე.

დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მმართველი პარტიის წარმომადგენლები ავალებენ სკოლის დირექტორებს პედაგოგებისა და მოსწავლეების მიყვანას მათ შეხვედრებზე, შემდეგ კი აღრიცხავენ იმ სკოლებს, რომლებმაც შეასრულეს ან არ შეასრულეს ეს დავალება. პედაგოგებზე ზეწოლა დაფიქსირდა ხობსა და ბათუმში, სადაც მასწავლებლებს მოსთხოვეს, შეეგროვებინათ ერთ-ერთი პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიები.

ლიახვში ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლები ეცადნენ ხელი შეეშალათ კანდიდატ დავით გამყრელიძისათვის ამომრჩეველთან შეხვედრის ჩატარებაში, თუმცა მათი წასვლის შემდეგ შეხვედრა მაინც შედგა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია არასწორი ინფორმაციის გავრცელების ფაქტები, რომლის მიხედვითაც, ხმის მიცემა არ იქნება ფარული: ხმის მისაცემ კაბინაში დამონტაჟებული იქნება ვიდეო კამერა, რომელიც დააფიქსირებს ამომრჩევლის არჩევანს.

პრეზიდენტობის კანდიდატთა რეგისტრაცია და რიგითი ნომრის განსაზღვრა

2007 წლის 6 დეკემბერს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი. 7 დეკემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა დამატებით კიდევ 4 პრეზიდენტობის კანდიდატი ესენია: „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატი შალვა ნათელაშვილი, „გაერთიანებული ოპოზიციის“ კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე, საინიციატივო



ჯგუფის კანდიდატი გიორგი მაისაშვილი და „ახალი მემარჯვენეების“ (ახლების) კანდიდატი დავით გამყრელიძე. ამავე წლის 9 დეკემბერს ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფების პრეზიდენტობის კანდიდატები ირინა სარიშვილი-ჭანტურია და არკადი პატარკაციშვილი.

2007 წლის 9 დეკემბერს არასაკმარისი მხარდამჭერთა სიების წარდგენის გამო საპრეზიდენტო კანდიდატად რეგისტრაციაზე უარი ეთქვათ შემდეგ პრეზიდენტობის მსურველ კანდიდატებს: შალვა კუპრაშვილს, გიორგი შერვაშიძეს, ქართლოს ღარიბაშვილს, ავთანდილ მარღიანსა და არჩილ იოსელიანს.

2008 წლის 11 დეკემბრის ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილებით 2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის პრეზიდენტობის კანდიდატებს განესაზღვრათ შემდეგი რიგითი ნომრები:

- № 1 – ლევან გაჩეჩილაძე - გაერთიანებული ოპოზიცია;
- № 2 – არკადი პატარკაციშვილი - საინიციატივო ჯგუფი;
- № 3 – დავით გამყრელიძე - „ახალი მემარჯვენეები“ (ახლები);
- № 4 – შალვა ნათელაშვილი - „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
- № 5 – მიხეილ სააკაშვილი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
- № 6 – გიორგი მაისაშვილი - საინიციატივო ჯგუფი;
- № 7 – ირინა სარიშვილი-ჭანტურია - საინიციატივო ჯგუფი;

„სამართლიანი არჩევნები“ კვლავაც განაგრძობს წინასაარჩევნო პროცედურების მონიტორინგს და თანმიმდევრულად წარმოგიდგენთ მის შედეგებს.

აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით.

